საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 2 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №240/18-1
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- (-- დირექტორი) 2018 წლის 26 სექტემბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 29 ნოემბრის №240/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 2 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

დამოუკიდებელი ინსპექტორის გადაწყვეტილებით, მოსამართლე -- -- მიმართ, დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდა კანონიერების ნაწილში.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

-- -- დირექტორმა -- -- წარდგენილ საჩივარში აღნიშნა, რომ მოსამართლემ -- -- მას არ გადასცა საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება კანონით განსაზღვრულ ვადაში. ასევე საჩივრის ავტორი მიუთითებს მოსამართლის მიერ მიღებული დამატებითი გადაწყვეტილების კანონიერებაზე, მოსამართლემ დამატებითი გადაწყვეტილებით შეცვალა ძირითადი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. ასევე -- -- საუბრობს მოსამართლის მიკერძოებულობაზე ვინაიდან მისი განცხადებების განხილვას მოსამართლე აჭიანურებდა, ხოლო მოსარჩელის განცხადება 10 დღეში განიხილა და დააკმაყოფილა. ასევე საქმის მასალების გაცნობისას როდესაც მან მოისურვა საქმეში არსებული დოკუმენტებისთვის ასლების გადაღება, სასამართლოს მოხელემ მას ასლების გადაღებაზე უთხრა უარი, ვინაიდან განცხადებაში არ ეწერა იმის შესახებ, რომ სურდა საქმეზე ასლების გადაღება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ მოსამართლე -- -- ხელოვნურად უქმის მას პრობლემებს.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ ფაქტობრივი გარემოებები:

2017 წლის 31 მაისს -- -- სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის -- -- მიმართ, საბუღალტრო დოკუმენტაციის გაცნობის მოთხოვნით. სარჩელი განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. 2017 წლის 21 ივნისს მოპასუხემ სასამართლოს წარუდგინა შესაგებელი.

2017 წლის 2 ოქტომბერს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. მოსამართლემ პირველი მოსამზადებელი სხდომა ჩანიშნა 2018 წლის 12 მარტს, სხდომის განხილვა გაგრძელდა 2018 წლის 26 მარტს, ხოლო შემდგომი სხდომა გადაინიშნა 2018 წლის 10 მაისს.

2018 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით, -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა; -- -- მიეცა შესაძლებლობა გაეცნოს -- -- საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, როგორც პირადად, ასევე მის მიერ შერჩეული აუდიტორის ან/და ექსპერტის მონაწილეობით, რა მიზნითაც მიეცეს უფლება გაეცნოს -- -- შესაბამის დეკლარაციებს და საგადასახადო დოკუმენტაციას; -- -- პირველად საბუღალტრო და სახელშეკრულებო დოკუმენტაციას, რომელშიც ასახულია საზოგადოების შემოსავლები და ხარჯები; მიიღოს ამონაწერები -- -- საბანკო ანგარიშებიდან ნებისმიერ პერიოდზე; მიიღოს საზოგადოების ბალანსზე (საკუთრებაში) არსებული ქონების (როგორც უძრავი, ასევე მოძრავი) სრული ჩამონათვალი; მიიღოს საზოგადოების წლიური ანგარიში მოთხოვნილ პერიოდზე; -- -- გადაწყვეტილებაში მითითებული მოთხოვნის შესრულების თაობაზე აცნობებს -- -- 10 დღით ადრე და გადაწყვეტილების მეორე პუნქტში მითითებული დოკუმენტების ასლებს გადაიღებს საკუთარი ხარჯებით.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მხარეებმა ხელი მოაწერეს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმის შესახებ ხელწერილს.

2018 წლის 25 ივნისს -- -- წარმომადგენელმა განცხადება წარადგინა სასამართლოში და მოითხოვა განჩინებაში დაშვებული მექანიკური შეცდომის გასწორება. 2018 წლის 26 ივლისის განჩინებით -- -- წარმომადგენელს უარი ეთქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე.

2018 წლის 26 ივნისს მოსამართლემ მიიღო დამატებითი გადაწყვეტილება, რომლითაც -- -- წარმომადგენლის -- -- შუამდგომლობა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, -- -- მოსარჩელე -- -- სასარგებლოდ დაეკისრა წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება - -- ლარის ოდენობით;

2018 წლის 26 ივნისის დამატებითი გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- -- წარმომადგენელმა. -- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

2018 წლის 17 აგვისტოს -- -- წარმომადგენელმა 2018 წლის 10 მაისის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ განცხადებით მიმართა მოსამართლეს. 2018 წლის 23 აგვისტოს განჩინებით, განმცხადებელს უარი ეთქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- -- (-- დირექტორი) 2018 წლის 26 სექტემბრის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

4.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“ განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ

შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში. ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[1]

მოსამართლის მიერ საპროცესო ვადის დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების 6.5. მუხლის მიხედვით მოსამართლემ ყველა სამოსამართლო ფუნქცია, მათ შორის გადადებულ გადაწყვეტილებათა მიღება უნდა განახორციელოს ეფექტურად, სამართლიანად და გონივრული სისწრაფით. ამასთან, „საქმეების სამართლიანად და გულდასმით განხილვის ვალდებულება არ ეწინააღმდეგება საქმეთა საკმარისად სწრაფად განხილვისა და გადაწყვეტის ვალდებულებას. მოსამართლის უპირველესი ვალია სამოსამართლო უფლებამოსილების შესრულება, რომელთა ძირითადი ელემენტიც არის საქმეების განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა. გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება მოსამართლემ უსაფუძვლო დაგვიანების გარეშე უნდა გამოაცხადოს.“

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ეფექტური სასამართლო დაცვის უფლება გულისხმობს, სამოქალაქო სამართალწარმოების მხარეების შესაძლებლობას გამოიყენონ გასაჩივრების უფლება იმ მომენტიდან, როცა მათ შეუძლიათ ეფექტურად შეაფასონ სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებმაც შეიძლება დაარღვიეს მათი უფლებები და კანონიერი ინტერესები.

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში მოიაზრებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას, რომლის საშუალებითაც ხდება დარღვეული უფლებების სრულად აღდგენა.

აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ სასამართლომ განმარტა, რომ მე-6 (§1) მუხლი ნებისმიერ პირს აძლევს შესაძლებლობას, სასამართლოს წარუდგინოს თავის სამოქალაქო უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებული საჩივარი (იხ. Golderc. Royaume-Uni, 21 février 1975, §28-36, série Ano 18). სასამართლოსათვის საჩივრის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება.

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531

მხარეთა ეფექტიანი დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული უწყებების მიერ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებას (იხ. Hornsby, ხსენებული ზემოთ §§40 და შემდგომ). სტრასბურგის სასამართლომ მართლმსაჯულების ეფექტიანად აღსრულების გამოჩენაზე ყურადღება გაამახვილა მოცემულ საქმეებში (Vermeulenv. Belgium, §34; Lobo Machadov. Portugal, §32). მართლმსაჯულების ცხადად აღსრულება ხელს უწყობს მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიზნის, კერძოდ, სამართლიანი სასამართლოს მიღწევას („დინეტი საფრანგეთის წინააღმდეგ" (Diennetv. France, §33);„ მარტინი საფრანგეთის წინააღმდეგ" (Martiniev. France [GC], §39)).

მოცემულ შემთხვევაში საჩივარი შეეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობას, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად. ამასთან, ამავე კოდექსის 259[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

ამდენად, აღნიშნული ნორმის მოთხოვნიდან გამომდინარე, მხარისათვის სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დენა იწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს.

მოსამართლე -- -- 2018 წლის 10 მაისს მიიღო გადაწყვეტილება, საქმის მასალებით დასტურდება, რომ მხარეებმა ხელი მოაწერეს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმის შესახებ ხელწერილზე, რაც ბუნებრივია მოსამართლეს ათავისუფლებს ვალდებულებისგან მოამზადოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი, რის გამოც მოსამართლე შემოიფარგლა სარეზოლუციო ნაწილით. -- -- წარმომადგენელმა 2018 წლის 6 ივლისის განცხადებით მოითხოვა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ასლი, რომელიც მხარეს ჩაბარდა 2018 წლის 12 ივლისს. ამდენად, მოსამართლის ქმედება, ამ კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებით არ შეიცავს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4.2. რაც შეეხება საჩივრის ავტორის მითითებას იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლე მას ხელოვნურად უქმნიდა პრობლემებს, კერძოდ არ მისცა საშუალება გადაეღო საქმის მასალების ასლები, რადგან განცხადება ეწერა მხოლოდ საქმის გაცნობაზე და არა ქსეროასლების გადაღებაზე, უნდა აღინიშნოს, რომ საქმის მასალების მხარისათვის გაცნობა წარმოადგენს ტექნიკური ხასიათის სამუშაოს, რომელიც სცდება მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლებს. ამ კონკრეტული ფაქტის საფუძველზე მოსამართლის მხრიდან რაიმე სახის დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტზე ვერ ვისაუბრებთ.
4.3. მოცემულ შემთხვევაში, იმის დასადგენად, ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიკერძოების ფაქტს, მნიშვნელოვანია საწყის ეტაპზე ყურადღება გავამახვილოთ ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ საკითხებზე:
სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების 3.1. პუნქტის თანახმად, მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს რომ მისი საქციელი გონიერი დამკვირვებლის თვალში იყოს უმწიკვლო. ამასთან, 3.2. პუნქტის შესაბამისად, მოსამართლის ქცევამ და მოქმედებამ უნდა განამტკიცოს საზოგადოების ნდობა სასამართლოს შეუვალობის მიმართ. მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა აღსრულდეს, არამედ უნდა გამოჩნდეს როგორც აღსრულებული.

მოსამართლეთა საყოველთაო ქარტიის მე-5 მუხლის თანახმად, სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას მოსამართლე უნდა იყოს მიუკერძოებელი და ეს უნდა იყოს გამოხატული. მოვლენათა გარეგნულად გამოჩენის ფორმას – აღქმას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან, ამ დროს სასწორზე დევს ის ნდობა, რომელსაც სასამართლოები ნერგავენ დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის თანახმად, მიუკერძოებლობა გულისხმობს წინასწარ შექმნილი შეხედულებებისა თუ გავლენების არ ქონას და მე-6 მუხლის მიზნებისათვის იგი შემდეგი გარემოებების საფუძველზე დგინდება: სუბიექტური ტესტით, რომლის თანახმად ფასდება კონკრეტული მოსამართლის პირადი მოსაზრებები, ქცევა - გააჩნდა თუ არა მოსამართლეს მოცემული საქმის შედეგით პირადი დაინტერესება ან ჰქონდა თუ არა მას წინასწარ შექმნილი უარყოფითი დამოკიდებულება; და ობიექტური ტესტით, უზრუნველყოფილია თუ არა სასამართლო მიუკერძოებლობის თაობაზე, საფუძვლიანი ეჭვების გამომრიცხავი სათანადო გარანტიები (*Fey v. Austria* § 28 და 30; *Wettstein v. Switzerland*, § 42). სადაც რთულია მოსამართლის სუბიექტური მიუკერძოებლობის შესახებ პრეზუმფციის საწინააღმდეგო მტკიცებულების მოპოვება, ობიექტური მიუკერძოებლობის მოთხოვნები მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს (*Pullar v. the United Kingdom*, § 32).

განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- -- არის მიკერძოებული, ვინაიდან მის განცხადებებზე სწრაფად იხილავდა მოსარჩელის მიერ წარდგენილ განცხადებებს. უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტული გარემოება ვერ დააყენებს ეჭვქვეშ მოსამართლის მიუკერძოებლობას. როგორც საქმის მასალებით დასტურდება, მოსამართლის მხრიდან განცხადებებზე პასუხის გაცემა და შესაბამისი განჩინებების მიღება კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის დარღვევით არ მომხდარა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორის მითითება კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს, შესაბამისად, მოსამართლის მხრიდან რაიმე სახის დისციპლინური გადაცდომის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2020 წლის 2 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან - 13 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №240/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი